

კრიტიკული კითხვა, როგორც ტექსტზე მუშაობის მეთოდი სასკოლო და საუნივერსიტეტო სივრცეებში

ნინო პოპიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ანოტაცია

ტექსტი რთული და მრავალფუნქციური ფენომენია, რომელიც შეიცავს სხვადასხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას. ტექსტი გამოიყენება ესთეტიკური, სასწავლო, სამეცნიერო, პრაქტიკული და სხვა კუთხით. ხშირად ესა თუ ის ტექსტი სწავლისა და კვლევის მნიშვნელოვანი წყაროა, შესაძლებელი ხდება ღირებული ინფორმაციების შესწავლა, შემეცნება და განხილვა. შესაბამისად, ამა თუ იმ ტექსტს ხშირად მიმართავენ სასწავლო და კვლევითი მიზნებისათვის.

კრიტიკული კითხვა არის ტექსტის აღქმისა და ინტერპრეტაციის პირველი ეტაპი. კრიტიკული კითხვა, როგორც მეთოდი ანტიკური ეპოქიდან არის ცნობილი. წყაროების დამუშავება, ანალიტიკური სელექცია, მნიშვნელოვანისა და მეორეულის აღნიშვნა სასწავლო და სამეცნიერო დისკურსების შემადგენელი ნაწილია. ტექსტზე მუშაობა მოითხოვს მასალაში მნიშვნელოვანი საკითხების მონიშვნას, გარკვეული კომპონენტების, ჯგუფების მიხედვით დალაგებას მისი კვლავ გამოყენების მიზნით. სასკოლო და საუნივერსიტეტო სივრცეებში ტექსტის კრიტიკული კითხვის მეთოდებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კრიტიკული კითხვა, როგორც სწავლების პრაქტიკული მეთოდი ტექსტის დამუშავებისას მრავალმხრივი მუშაობის საშუალებას იძლევა: ტექსტის გააზრება, ჩაღრმავებულად შესწავლა, შემდგომში ინფორმაციის სწრაფი მოძიება და გამოყენება სწორედ კრიტიკული კითხვის მეთოდით არის შესაძლებელი.

საკვანძო სიტყვები: კრიტიკული კითხვა, კითხვის სტრატეგიები და მეთოდები, ანალიტიკური მუშაობა

ტექსტი რთული და მრავალფუნქციური ფენომენია, რომელიც შეიცავს სხვადასხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას. ტექსტი გამოიყენება ესთეტიკური, სასწავლო, სამეცნიერო, პრაქტიკული და სხვა კუთხით. ხშირად ესა თუ ის ტექსტი სწავლისა და კვლევის მნიშვნელოვანი წყაროა, შესაძლებელი ხდება ღირებული ინფორმაციების შესწავლა, შემეცნება და განხილვა. შესაბამისად, ამა თუ იმ ტექსტს ხშირად მიმართავენ სასწავლო და კვლევითი მიზნებისათვის.

კრიტიკული კითხვა არის ტექსტის აღქმისა და ინტერპრეტაციის პირველი ეტაპი. კრიტიკული კითხვა, როგორც მეთოდი ანტიკური ეპოქიდან არის ცნობილი. წყაროების დამუშავება, ანალიტიკური სელექცია, მნიშვნელოვანისა და მეორეულის აღნიშვნა

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

სასწავლო და სამეცნიერო დისკურსების შემადგენელი ნაწილია. ტექსტზე მუშაობა მოითხოვს მასალაში მნიშვნელოვანი საკითხების მონიშვნას, გარკვეული კომპონენტების, ჯგუფების მიხედვით დალაგებას მისი კვლავ გამოყენების მიზნით.

სასკოლო და საუნივერსიტეტო სივრცეებში ტექსტის კრიტიკული კითხვის მეთოდებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კრიტიკული კითხვა, როგორც სწავლების პრაქტიკული მეთოდი ტექსტის დამუშავებისას მრავალმხრივი მუშაობის საშუალებას იძლევა: ტექსტის გააზრება, ჩაღრმავებულად შესწავლა, შემდგომში ინფორმაციის სწრაფი მოძიება და გამოყენება სწორედ კრიტიკული კითხვის მეთოდით არის შესაძლებელი.


კრიტიკული კითხვა, კითხვის სტრატეგიები და მეთოდები, სასკოლო განათლება, საუნივერსიტეტო განათლება

კრიტიკული კითხვა, როგორც ტექსტზე მუშაობის მეთოდი სასკოლო და საუნივერსიტეტო სივრცეებში

ტექსტი რთული და მრავალფუნქციური ფენომენია, რომელიც შეიცავს სხვადასხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას. ტექსტი გამოიყენება ესთეტიკური, სასწავლო, სამეცნიერო, პრაქტიკული და სხვა კუთხით. ხშირად ესა თუ ის ტექსტი სწავლისა და კვლევის მნიშვნელოვანი წყაროა, შესაძლებელი ხდება ღირებული ინფორმაციების შესწავლა, შემეცნება და განხილვა. შესაბამისად, ამა თუ იმ ტექსტს ხშირად მიმართავენ სასწავლო და კვლევითი მიზნებისათვის.

კრიტიკული კითხვა არის ტექსტის აღქმისა და ინტერპრეტაციის პირველი ეტაპი. კრიტიკული კითხვა, როგორც მეთოდი ანტიკური ეპოქიდან არის ცნობილი. წყაროების დამუშავება, ანალიტიკური სელექცია, მნიშვნელოვანისა და მეორეულის აღნიშვნა სასწავლო და სამეცნიერო დისკურსების შემადგენელი ნაწილია. ტექსტზე მუშაობა მოითხოვს მასალაში მნიშვნელოვანი საკითხების მონიშვნას, გარკვეული კომპონენტების, ჯგუფების მიხედვით დალაგებას მისი კვლავ გამოყენების მიზნით.

სასკოლო და საუნივერსიტეტო სივრცეებში ტექსტის კრიტიკული კითხვის მეთოდებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კრიტიკული კითხვა, როგორც სწავლების პრაქტიკული მეთოდი ტექსტის დამუშავებისას მრავალმხრივი მუშაობის საშუალებას იძლევა: ტექსტის გააზრება, ჩაღრმავებულად შესწავლა, შემდგომში ინფორმაციის სწრაფი მოძიება და გამოყენება სწორედ კრიტიკული კითხვის მეთოდით არის შესაძლებელი.

ტექსტზე მუშაობა – წყაროს დამუშავება:

ტექსტის კრიტიკული კითხვის დროს მნიშვნელოვანია შემდეგი მეთოდებით მუშაობა:

წინასწარი ცოდნა

კრიტიკული კითხვა, როგორც მეთოდი გულისხმობს ავტორისა და ტექსტის შესახებ წინასწარ, ტექსტის გაცნობამდე ან გაცნობის პროცესში წინასწარი ან დამატებითი ცოდნის მოპოვებას. მნიშვნელოვანია ტექსტის გაცნობამდე ვიცოდეთ ვინ არის ავტორი? როდის დაიწერა ტექსტი? სად დაიწერა ტექსტი? ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ავტორის ბიოგრაფიული ასპექტების ცოდნა.

ესკიზის შექმნა

ეს მეთოდი საშუალებას იძლევა ტექსტის პირველი წაკითხვისა და გააზრების დროსვე მარკირებული იყოს მნიშვნელოვანი მონაკვეთები, საკამათო თუ ორიგინალური დებულებები. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ დროს ხდება ტექსტის პირველადი დამუშავება, ყველაზე ფართო გააზრება. ესკიზის შექმნა შესაძლებელია ტექსტის ცალკეული ადგილების მონიშვნისა და კომენტირების კუთხით.

შეკითხვები

კრიტიკული კითხვის სასწავლო-პრაქტიკული მეთოდის დროს მნიშვნელოვანია ტექსტის ცალკეული ადგილების მიმართ კრიტიკული შეხედულებებისა და ტექსტის შესახებ შეკითხვების მომზადება. ეს მეთოდი მასალაში არსებული ინფორმაციის ობიექტური გადამოწმების საშუალებას იძლევა. ამასთან, შეკითხვებმა შეიძლება შეავსოს ის სიცარიელები, რაც ტექსტის გაცნობის დროს წარმოიშვა.

შეკითხვები ტექსტის ირგვლივ:

ვინ არის ავტორი?

როდის დაიწერა ტექსტი?

რატომ დაიწერა ტექსტი?

რა არის ავტორის ძირითადი ჩანაფიქრი?
როგორ მივიდა ავტორი დასკვნებამდე?
რა ზეგავლენა იქონია ტექსტმა?

ხელახალი წაკითხვა

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტექსტის დამუშავების დროს მიზანშეწონილია მასალის ხელახალი წაკითხვა. ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს სხვა ადგილები, ასევე, შესაძლებელია მონიშნული ადგილების მრავალფეროვანი ინტერპრეტაცია.

პერიფრაზი

ყოველ ტექსტს აქვს ავტორისათვის დამახასიათებელი ლექსიკა და სინტაქსი. თუ ტექსტი მხატვრული ლიტერატურის ჟანრს მიეკუთვნება, შესაძლოა მასში გამოყენებული იყოს ამა თუ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი ლექსიკა, ტექსტი შექმნილი იყოს ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებული სალიტერატურო ნორმების მიხედვით. მაგალითად, მეათე-მეთერთმეტე საუკუნეების ლიტერატურული ნორმების მიხედვით იყოს შედგენილი და სხვა. ასევე, თუ ტექსტი სასწავლო-სამეცნიერო დანიშნულებისაა, ავტორი ან ავტორები ხშირად ხმარობენ ამა თუ იმ ტერმინს ან სიტყვათა შეთანხმებას, რომელიც განმარტებას საჭიროებს. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ტექსტის შინაარსის პერიფრაზი. შეეცადეთ ტექსტში მოყვანილი ინფრმაციის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა და იმ კითხვებზე საკუთარი სიტყვებით პასუხის გაცემა, რომლებიც დასაწყისში გაქვთ მონიშნული

რეფლექსია

ტექსტის გაცნობისას მნიშვნელოვანია ტექსტის ირგვლივ რეფლექსია, პარალელებისა და მაგალითების მოყვანა როგორც ამავე ავტორის, ისე სხვა ავტორების მსგავსი ტექსტებიდან. ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიაზროთ ტექსტი სხვა, მსგავსი ტექსტის ანალიზისა და შეპირისპირების საფუძველზე.

დეკლამაცია (რეჩიტატივი)

ზოგჯერ ტექსტი მოითხოვს ხმამაღლა კითხვის მეთოდის გამოყენებას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს მხატვრულ ნაწარმოებთან, ექსპრესიულ, ემოციების გამომხატველ ტექსტთან, რიტორიკული ელემენტების შემცველ ნაშრომთან. ასეთ დროს დეკლამაცია, გამომეტყველებითი კითხვა ტექსტის გახსნისა და ამოხსნის ერთ-ერთი მთავარი მეთოდი სეიდლება იყოს.

განხილვა

წაკითხვით ტექსტი კიდევ ერთხელ და გაიხსენეთ ტექსტის საკვანძო საკითხები. შესაძლოა, ამ მეთოდის გამოყენების შემდეგ თქვენი მიმართებები წაკითხულ ტექსტთან დაკავშირებით შეიცვალოს _ მონიშნული მნიშვნელოვანი თემები და საკითხები უმნიშვნელო აღმოჩნდეს, ან, სხვა საკითხები აღმოჩნდეს ტექსტში მნიშვნელოვანი, რადგან მისი დამუშავებისა და

თქვენი სიტყვებით გადმოცემის შედეგად აღმოჩნდეს, რომ მონიშნული პრობლემა თქვენთვის აღარ არის საინტერესო.

კრიტიკული კითხვის მეთოდები შესაძლებელია განხილული იყოს სასწავლო და კვლევითი პროცესის საწარმოებლად, როგორც სასკოლო, ისე საუნივერსიტეტო სივრცეში. კითხვის ანალიტიკური სტრატეგიები საუნივერსიტეტო გარემოში განიხილება, როგორც კვლევის საწყისი ეტაპი, როდესაც მოძიებული წყაროების დამუშავება ხდება. მიზანშეწონილია ასეთ დროს სტუდენტი გაეცნოს სამეცნიერო ნაშრომის აგებულებას, წერის სპეციფიკას, ტექსტის სახეობებს, წყაროების მოძიების ტექნოლოგიებს, ასევე, სამეცნიერო წერის სტილსა და სტრუქტურას. საუნივერსიტეტო სტანდარტი გულისხმობს სხვადასხვა ტიპის ანალიტიკური ნაშრომის შექმნის ვალდებულებას. ეს შეიძლება იყოს რეფერატები, მცირე ზომის სამეცნიერო ნაშრომები, ასევე საბაკალავრო ნაშრომი, სამაგისტრო ნაშრომი, მონიგრაფია და სხვა. სამეცნიერო მუშაობის სპეციფიკა კი თავისთავად გულისხმობს კითხვის სტრატეგიების შემუშავებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Walter Kissling/Gudrun Perko (Hrsg.) Wissenschaftliches Schreiben in der Hochschullehre, Innsbruck, Wien, Bozen, 2006
2. Umberto Eco, Come si fa una tesi di laurea, Le materie umanistiche, translation in russian, Moscau, “University”, 2003
3. Wissenschaftliche Schreiben und Studentische Lernen, Universitaet Zuerich, 2007